ხელმძღვანელი ჯ. გახოკიძე

ანგარიში პროექტზე: ,,კონფლიქტების დარეგულირების პრეცედენტები და აფხაზეთის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი სტატუსის მოდელირება“

პროექტის მიზანი იყო კონფლიქტების მოგვარებისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც გამოიხატება კონფლიქტების დარეგულირების თანამედროვე მოდელების ძირითად პოლიტიკურ-სამართლებრივ ანალიზში, სასარგებლო გამოცდილების, არსებული პრაქტიკის გააზრებასა და გაზიარებაში საქართველოში არსებული რეალობების გათვალისწინებით.

პროექტი ითვალისწინებდა კვლევას და სიღრმისეულ, მეცნიერულ შესწავლას ისეთი სახის კონფლიქტებისა, რომელიც არიდებულ იქნა მშვიდობიანად, კომპლექსურად და თანამედროვე სტანდარტებით. იგი **მიზნად ისახავდა გაკეთებულიყო ანალიზი არსებული პოლიტიკური რეალობისა, შესწავლილიყო კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების მოდელების თავისებურებანი, რათა მოინახოს გზა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის,** ვინაიდან ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ზემოაღნიშნული პრეცედენტები კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკური, გატარებული პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის ღონისძიებები განსხვავებული და ხასიათდებოდა თავისებურებებით. **მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კვლევა ეხებოდა კონფლიქტების პრევენციას, კვლევის შედეგები წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკვე შემდგარი კონფლიქტების გადაწყვეტისთვის, მათ შორის საქართველოშიც.**

საბოლოოდ, მომზადდა სამეცნიერო პუბლიკაციები და ნაშრომი - ,,ძიებანი განდგონილი რეგიონების შემორიგებისათვის“, რომელიც წარმოდგენილია შესავალი ნაწილის, 3 თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი ეხება ფაქტორებს, რომლებმაც ვერ აგვაცილა კონფლიქტი და განდგომილი რეგიონები. მეორე თავი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წარუმატებელ არაერთ მცდელობას (წარსულის მწარე გაკვეთილებს) და მესამე თავი - კონფლიქტების გადაწყვეტის პრეცედენტებს

მსოფლიოში (ჰონკონგი – ჩინეთი, სამხრეთ ტიროლი – იტალია, შოტლანდია– დიდი ბრიტანეთი).

ასევე, პროექტის ხელმძღვანელის მიერ გაკეთდა მოხსენებები კონფერენციებზე, კერძოდ: პირველი კონფერენცია იყო ,,დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასა და ექსპერტებთან ერთად აფხაზურ და ოსურ მხარესთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხებზე", საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2017 წელი, მეორე –,,საერთაშორისო კონფერენცია სამართლის აქტუალური საკითხები", სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოხსენება - ,,აფხაზეთი განსაკუთრებული სტატუსით საქართველოს სახელმწიფოში", თბილისი, 2017 წელი, ხოლო მესამე კონფერენცია - ,,აფხაზეთი - არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივები", სტუ, 30 ივნისი 2017 წელი.

კვლევის შედეგებმა საშუალებას მოგვცა მაქსიმალურად დასაბუთებული პასუხი გაგვეცა კითხვაზე – შეეძლო თუ არა საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას თავიდან აეცილებინა კონფლიქტი როგორც ე.წ სამხრეთ ოსეთთან, ისე აფხაზეთთან. გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წარუმატებელი არაერთი მცდელობა ანუ წარსულის მწარე გაკვეთილები. განხორციელდა სამი სახელმწიფოს (ჩინეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი) შიდა კონფლიქტების პრევენციის მიმართულებით წარმართული პოლიტიკის კვლევა;

ვფიქრობთ, მიღებული შედეგები ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებზე: კერძოდ, ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებზე. მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სოციალურ-პოლიტიკური, საერთაშორისო სამართლისა და კონფლიქტოლოგიის პრობლემებით დაინტერესებული პირების, მათ შორის სტუდენტების, მაგისტრების და დოქტორანტების მიერ, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ამ პრობლემით დაინტერესებულ ფართო წრის მიერ.

პროექტის ხელმძღვანელი

პროფესორი ჯემალ გახოკიძე